ხაშურის მოამბე

№20 (101) 24 მაისი, ოთხშაბათი, 2017 წელი

ხვალ ამაღლებაა, გილოცავთ!

აღდგომიდან მე-40 დღეს, მეექვსე კვირის ხუთშაბათს, მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის ამაღლებას ზეიმობს. როგორც წმიდა სახარება გვაუწყებს, ბრწყინვალე აღდგომიდან 40 დღის განმავლობაში ქრისტე თავის მოწაფეებს ეცხადებოდა და ღვთის სასუფევლის შესახებ მოუთხრობდა. იოანე ოქროპირის სიტყვით, იგი მოწაფეებს ასწავლიდა „სასუფევლის საიდუმლოებებს", რომელნიც მაცხოვრის აღდგომამდე მათთვის გაუგებარი და მიუწვდომელი იყო.

აღდგომიდან ორმოცი დღის შემდეგ, იესო ქრისტე უკანასკნელად გამოეცხადა თავის მოწაფეებს იერუსალიმში და უთხრა მათ: „თქვენ დარჩით იერუსალიმში, სანამ არ შეიმოსავთ ძალას მაღლიდან. თქვენ მიიღებთ ამ ძალას, როცა თქვენზე გადმოვა სულიწმიდა; შემდეგ წადით და უქადაგეთ სახარება ყველას და ნათელი ეცით მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით". ამ სიტყვების შემდეგ ქრისტემ აიყვანა ისინი ზეთისხილის მთაზე, აკურთხა და მათ თვალწინ ამაღლდა ზეცაში. და იქ დაჯდა მამა ღმერთის მარჯვნივ.

მოციქულები იდგნენ და ზეცისკენ იცქირებოდნენ. მათ გამოეცხადათ ორი ანგელოზი, რომელთაც უთხრეს: „რატომ დგახართ და იცქირებით ზეცისაკენ? იესო, თქვენგან ზეცას ამაღლებული, მოვა ისევე, როგორც თქვენ იხილეთ იგი აღმავალი ზეცას". მოციქულებმა თაყვანი სცეს ქრისტეს და სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმში.

ქრისტე გაშლილი, მაკურთხეველი ხელებით ამაღლდა ზეცად. ელეონის მთასთან მდგარი მოწაფეები პირველ ქრისტიანულ ეკლესიას წარმოადგენდნენ. სიყვარულითა და იმედით აღსავსე ეს ეპიზოდი არის ნიშანი და აღთქმა იმისა, რომ კურთხევა ღვთისა მუდამ იქნება ეკლესიაში.

ჭირვეული ამინდების მიუხედავად, ფერემერები გამოსავალს ნახულობენ

უკანასკნელ წლებში, ახალი მთავრობის ინიციატივითა და ძალისხმევით, ჩვენს ქვეყანაში თითქმის მივიწყებული და მივარდნილი დარგის - სოფლის მეურნეობის აღორძინება რომ დაიწყო, ფაქტია და ამას ყველა თვალნათლივ ვხედავთ. შორს წასვლა ალბათ საჭიროც არაა და ამის თვალსაჩინო მაგალითი ჩვენი მუნიციპალიტეტიცაა. 2000-2010 წლებში, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან სოფლის მეურნეობის დარგი აღარც კი არსებობდა. მიტოვებული და გავერანებული ფართობები ერთობ მძიმე სანახავი იყო მნახველისათვის. 2012 წლიდან რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია და მთელმა რიგმა სახელმწიფო პროგრამებმა და დახმარებებმა სუნთქვა შთაბერა ამ უმნიშვნელოვანეს სფეროს. ყოველწლიურად მატულობს კოოპერატივების რიცხვი და დღეისათვის უკვე 42 კოოპერატივია რეგისტრირებული, საიდანაც 32 მოქმედია და სულ უფრო სრულყოფენ თავის საქმიანობას. რა მდგომარეობაა ამჟამად სოფლის მეურნეობის კუთხით და დღევანდელ ეტაპზე რით არიან დაკავებულები ამ დარგის მუშაკები, ამ კითხვაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი **ჯემალ გელაშვილი** გვპასუხობს:

–ჩვენს მუნიციპალიტეტში სულ 11282 ჰექტარი სახნავი მიწაა რეგისტრირებული. აქედან შემოდგომაზე 6750 ჰექტარი მიწა მოიხნა. გაზაფხულზე დღეისთვის 2500 ჰექტარია მოხნული. უამინდობის გამო, პროცესი ძალიან გაიწელა, მაგრამ, ვფიქრობთ, შარშანდელ დონეს მაინც მივაღწევთ და 9700 ჰექტარი მოიხვნება. დარჩენილი ფართობები მეპატრონეების მიერ ზოგი საძოვრებადაა დატოვილი, მცირე ნაწილი კი მრავალწლოვან ნათესებს (იონჯა, ექსპარსეტი) უკავია.

გრძელმა ზამთარმა, დიდთოვლობამ და განსაკუთრებით გაზაფხულის უამინდობამ, ხელი ხორბლის საშემოდგომო ნათესებსაც დაატყო. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ამ ნათესების გამოკვება (შეწამვლითი სამუშაოები), რომ ეს ზიანი გამოსწორდეს. ჩვენ თითქმის ყოველდღიურად ვხვდებით ფერმერებს და კონსულტაციებს ვუწევთ, რომ ზარალი მინიმუმამდე დავიდეს. არის შემთხვევები, რომ ჩვენი რეკომენდაციებით, განსაკუთრებით დაზარალებული ფართობები ქერით ან ერთწლიანი კულტურებით გადაითესა. უფრო ზუსტი შედეგები, რა თქმა უნდა, ალოობის შემდეგ გვეცოდინება. დღეისთვის კი მიმდინარეობს თავთავიანების მოსავლის განსაზღვრა 27 ფერმერის ხორბლის ნათესებში. აღნიშნული პროგრამა სამწლიანია და იგი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშრისო განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით ხორციელდება. ნათესებში ხდება სამჯერადი დაკვირვება დროის სხვადასხვა ინტერვალში, შემდეგ მონაცემები იგზავნება სამინისტროში, სადაც სრული სურათი დგება და იდება დასკვნა. დაკვირვების სამი პერიოდი კი ასეთია: 1. შედერების ფაზა; 2. გათავთავიანება; 3. მოსავლის აღების დროს.

არ შეიძლება არ ვთქვათ იმ ერთდღიანი ყინვის შესახებ, რომელიც 26 აპრილს, დილის საათებში დაატყდა ჩვენს მუნიციპალიტეტს და საგრძნობი ზიანიც მოგვაყენა. მიუხედავად იმისა, რომ ყინვა სულ მინუს2-3 გრადუსი იყო, მაინც ძლიერი ზემოქმედება მოახდინა გამოღვიძებულ მრავალწლიან ნარგავებზე. სამწუხაროდ, თითქმის 100 პროცენტით განადგურდა კაკლის მოსავალი (თერხვის თბილი ნაკადის გამო, მხოლოდ მცირე ზოლი გადარჩა ქვიშხეთის მიდამოებში). ყინვამ დიდად იმოქმედა თესლოვან და კურკოვან ნარგავებზეც. ფაქტია, რომ მოსავალი შარშანდელივით უხვი არ იქნება და რაც მოვა, შედარებით უხარისხოც იქნება.

მიუხედავად ყველაფრისა, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, ფერმერებთან ერთად, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წვლილი მნიშვნელოვანი იყოს.

სუსსათის უვნებლობაზე მონიტორინგი ხეგულახულად ხორციელდება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის, სურსათის ეროვნულ სააგენტოს სხვადასხვა რეგულაციები აქვს დაწესებული. სააგენტოს თანამშრომლების მიერ, ამ კუთხით, რეგულარულად ტარდება მონიტორინგი. როგორი ფორმით ხდება აღნიშნული მონიტორინგი, რა დოკუმენტები უნდა ჰქონდეთ ბიზნესოპერატორებს, როგორია ჩვენს მუნიციპალიტეტში შემოწმების შედეგები - ამ კითხვებს სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორი ხათუნა ქიტიაშვილი პასუხობს:

სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლს. კონტროლის მიზანი სურსათის უვნებლობის დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენაა, რაც შემდეგი მექანიზმებით ხორციელდება – დოკუმენტური შემოწმება, მონიტორინგი, ზედამხედველობა, ნიმუშის აღება, ინსპექტირება.

მონიტორინგის დროს ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გზავნილები, სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში.

დოკუმენტური შემოწმება, რომლის დროსაც ხდება ბიზნესოპერატორთა დოკუმენტების, მათ შორის, ჩანაწერების, ვადაგასული სურსათის და ეტიკეტირების დარღვევების გამოვლენა, ხდება რეგულარულად. დღეისათვის, რაიონის მასშტაბით, განხორციელებულია 100-მდე სარეალიზაციო ობიექტის დოკუმენტური შემოწმება. დაჯარიმებული იქნა 5 ბიზნესოპერატორი ვადაგასული სურსათის აღმოჩენის გამო, რისთვისაც სურსათის, ცხოველის, საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74² მუხლის შესაბამისად, დაჯარიმებული იქნენ 200 ლარით.

გამოვლენილი იქნა ეტიკეტირების წესის დარღვევის 1 ფაქტიც. აღნიშნული წესის მიხედვით, იკრძალება სურსათის რეალიზაცია, თუ არ არის მათზე დატანილი ქართული ეტიკეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში – ჯარიმდება 400 ლარით ბიზნესოპერატორი, რომელიც ახდენს ასეთი სურსათის რეალიზაციას.

სხვადასხვა დარღვევების გამოვლენის მიზნით, მონიტორინგის დროს, ვიღებთ ნიმუშებს ლაბორატორიული კვლევის მიზნით და ვაგზავნით აკრედიტებულ ლაბორატორიაში. კვლევა ხდება ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიცაა ლისტერია მონოციტოგენეზი, სალმონელა, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები.

ხდება ასევე ხორცისა და ხორცპრუდუქტების სახეობების განსაზღვრა ყოველი სახეობების მიხედვით, დაგეგმილია ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა, სასმელი წყლის სინჯების აღება სხვადასხვა სოფლებიდან.

ნიმუშების შესყიდვა ხდება როგორც მარკეტებიდან, ასევე საზოგადოებრივი კვების ობიექტებიდან. მონიტორინგი განვახორციელეთ საშაურმეებში. უნდა აღინიშნოს, რომ მზა პროდუქციის (შაურმა) ლაბორატორიული კვლევისას დარღვევა არ გამოვლენილა.

სისტემატიურად ვახორციელებთ ხორცის სარეალიზაციო მაღაზიების კონტროლსაც. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც რომ ყველა მაღაზიაში ხორცი ეტიკეტირებულია და თან ახლავს ვეტერინარული მოწმობა ფ.№2.

მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი სამუშაოები გრძელდება

ყველას გვახსოვს,ამ ხუთი წლის წინ,ადიდებულმა სურამულამ რამხელა უბედურება და ზარალი ანახა ჩვენს მუნიციპალიტეტს. მას შემდეგ, მდინარის მთელს გაყოლებაზე, ნაპირსამაგრი სამუშაოები ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაადა არც წლევანდელი წელია გამონაკლისი. ამჟამად, სურამულას ოთხ მონაკვეთზე მიმდინარეობს ეს სამუშაოები, რომელთა საერთო სიგრძე 150 მეტრს აჭარბებს. მშენებლობას შპს "შარა" აწარმოებს და იგი 200 000 ლარამდე ჯდება. აღნიშნული ობიექტის სამუშაოები მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. მშენებლობა კი, ტენდერით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ორ თვეში დასრულდება.

(დასასრული. დასაწყისი იხილეთ „ხაშურის მოამბე“ №19)

„დავსხედით იმ უბედურის შვილებმა და შევიყარენით სვე-ბედის მოსანანიებლად, მისი ხსოვნის რაიმეს აღსანიშნავად.” –წერს ნინო.

„ქალთა წრის კომისიის” სახელით, ნინომ გამოსცა თავისი ცნობილი „მატიცა”-მოწოდება და მას თან დაურთო ჩეხთა „მატიცის წესდება, რომლის დანიშნულება და მიზანი სწავლისა და ცოდნის გავრცელება იყო. წიგნის წინასიტყვაობაში იგი წერს:

„ადამიანის ცხოვრების ეკლიანი გზის გავლას, მტრის დახვედრას, ყველაფერს უნდა სინათლე. სინათლე სწავლაა, სწავლა საერთო, სწავლა სპეციალური და ეს ჩვენს ხალხს კი უდაოდ აკლია.”

ვინ იცის, რამდენი დრო და ენერგია ეწირებოდა ყოველივე ამას, მაგრამ იმდენად დიდი იყო ქართველი ქალის შეგნება, რომ ისინი თავს არ ზოგავდნენ, თავიანთი ღარიბი ქვეყნისთვის შეექმნათ მატერიალური ბაზა. დახმარებოდნენ ყოველ ეროვნულ,კულტურულ წამოწყებას, რომელსაც მაშინ მეფის მთავრობა გულგრილად ეკიდებოდა..

–დიმიტრი ყიფიანის ოჯახის ისტორიები–

ნინო ტატიშვილი-ყიფიანისა

ამ მიზანს ემსახურებოდა ნინო ყიფიანის მიერ დაარსებული საზოგადოება „იმედი”, რომლის ძირითადი შემოსავლის წყარო სასადილო „იმედი” იყო. საზოგადოებას, რომელსაც ნინო ხელმძღვანელობდა, მეტად აწუხებდა პრობლემა ნიჭიერი, მაგრამ ეკონომიურად უძლური ახალგაზრდობისა. ნინო ყიფიანმა ერთ წელიწადში იმდენს მიაღწია, რომ „იმედის” საზოგადოებას უკვე სტიპენდიანტები ჰყავდა. ამ საზოგადოების ინიციატივით, უმაღლესი განათლების მისაღებად იტალიაში გაგზავნეს ცნობილი ქართველი მომღერალი ა. ქაშაკაშვილი.

ეროვნული საქმიანობით იყო ნაკარნახევი ნინო ყიფიანის ბრძოლა პოლიტიკურ-სოციალური ჟურნალის „ახალი მოამბის” დაარსებისათვის. მის შესახებ ნინოს სერიოზულად დაუყენებია საკითხი საზოგადოების წინაშე. მას წერილი გაუგზავნია დიდი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტისათვის, ნიკო ნიკოლაძისათვის, რომელიც ამ დროს ფოთში იმყოფებოდა. „ჩემს ცხოვრებაში პირველად მიხდება წერილის მოწერა, ვწუხვარ, რომ ცოტა ხანს მომიხდა დიმიტრი ყიფიანის გვერდით ცხოვრება. და ასე დაახლოებული არა ვარ თქვენთან, მაგრამ დიდი იმედი უნდა ვიქონიოთ თქვენი. გთხოვთ გამოთქვათ აზრი ამ საკითხის შესახებ”.

ნინო იყო თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი ქალი, რომელიც ენის სიწმინდისათვის იბრძოდა.

1914 წელს, მსოფლიო ომის დროს, ნინომ მწერალ ქალებთან, ეკ. გაბაშვილთან, დომინიკე ერისთავ-განდგილთან, ანასტასია თუმანიშვილთან ერთად იმოგზაურა აჭარაში, გაეცნო ქართველ მაჰმადიანი ქალების ცხოვრების პირობებს და ამ საკითხს საინტერესო წერილები მიუძღვნა, რომელშიც მოითხოვს ქართველი მაჰმადიანი ქალების სწავლა-განათლებაზე ზრუნვას.

ნინო ყიფიანი რომ არ ყოფილიყო, წერს ი. გრიშაშვილი, ვინ იცის, როდის ეღირსებოდა მზის სინათლე დ. ყიფიანის, „მემუარების” გამოცემას. მე თვითონ ვიყავი მოწმე, როგორ გადაჰქონდა ნინო ყიფიანს დიმიტრი ყიფიანის მასალები ეტლით არჩილ ჯორჯაძესთან, რომელიც მაშინ სასტუმრო „გრანდ-ოტელში” ცხოვრობდა.

ნინოს საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ როცა ვსაუბრობთ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნინო აქტიურად მონაწილეობდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის”დაარსების საქმეში. იგი თანამშრომლობდა ამ ჟურნალთან და სისტემატიურად აწვდიდა პატარებს ფრანგულიდან თარგმნილ საბავშვო მოთხრობებს.

აი,როგორ იგონებს ნინო ყიფიანს პოეტი იროდიონ ევდოშვილი და ბაბილინა ხოსიტაშვილი: „ეხლაც თვალწინ მიდგას თავის საყვარელი ქვიშხეთის კარმიდამოს ფონზე, ჯეირანივით რომ გადმოდგებოდა აივანზე ნინო ყიფიანი. მედიდური სიარული და გამოხედვა იცოდა, ნამდვილი სადედოფლო ქალი იყო. ეზოში ჩამოსულს დავინახავდით თუ არა, გარს შემოვეხვეოდით მწერლები. ნინო ყველას გულითადად გვეპყრობოდა. კარგი ადამიანი იყო და მიმზიდველი, საინტერესო საუბარი იცოდა. 1937 წელს, ზაფხულის თვეში ერთხელ მომიხდა ქვიშხეთში წასვლა დასასვენებლად. ერთ საღამოს ყველანი ეზოში ვისხედით, შენობიდან შემოგვესმა შესანიშნავი სვედიანი და საამური, გრძნობათა ამშლელი აკორდები ფორტეპიანოსი... უკრავდა ნინო „თაო ჩემოს “ ჰანგებს, ამას ისეთი ანდამატური მიზიდულობა ჰქონდა, რომ ჩვენ ყველანი ფეხაკრეფით შევედით დარბაზში, საიდანაც ესოდენ მომაჯადოებელი მუსიკის ხმა მოისმოდა. ნინო ჩემგან ზურგშექცევით უჯდა როიალს და არც დავუნახივართ, მგონია, -ვიდრე უკანასკნელ აკორდებს დაამთავრებდა. ჩვენს შორის იყვნენ ნინოს ოჯახის მახლობლებიც, რომელთა თვალზე ცრემლი შევამჩნიე ამ მომხიბლავი ჰანგების გამო, თუ ოჯახის წევრთა „ბედის ტრიალი”-ს გამოც ვთხოვეთ ნინოს გაემეორებინა „თაო ჩემოს” დაკვრა. მან შეგვისრულა თხოვნა, მაგრამ ის ანდამატი აღარ ჰქონდა. ნინომ თქვა: ალბათ, მთელი ჩემი გრძნობა იმ პირველ დაკვრაში ჩავაქსოვეო. გასაგებიც არის: პირველად ის ხომ მარტო იყო თავის განცდებთან”.

1894 წელს, ერთ-ერთ საზეიმო სუფრაზე, აკაკი წერეთელმა საჯაროდ მიმართა თავისი დროის გამოჩენილ მანდილოსანს, ნინო ყიფიანს: „ნინო, შენ ქართველმა ერმა ანდერძი უნდა მოგართვას, რომ ასე თვალისჩინივით შეინახე დიმიტრის საყვარელი სახლ-კარი. შენ, არათუ დაგინგრევია იგი, როგორც ბევრმა ჩვენთაგანმა თავადაზნაურთა შვილებმა თავისი მამა-პაპეული მამული გაანიავეს, პირიქით, შენ ერთიანად გაამშვენიერე ის, დიმიტრის რომ ასე უყვარდა, თავის სახლ-კარს პირმშოს რომ ეძახდა, ბარაქალა ქალო! აი,ამიტომ ვამბობ, რომ ქართველმა ხალხმა ანდერძი უნდა მოგართვას-მეთქი”.

1923 წელს ნინო ყიფიანმა, დიმიტრი ყიფიანის სახლ-კარი, ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთით, ქართველ მწერლებს გადასცა. თვითონ კი, მხოლოდ ერთი ოთახი ეჭირა ამ სახლში... მის პირად წერილებში ნათლად სჩანს,თუ როგორ უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა მწერალი ქალი სიცოცხლის ბოლო პერიოდში.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც ერთგულად ემსახურა და სიცოცხლის ბოლომდე გვერდიდან არ მოშორებია, ეს გახლდათ ქვიშხეთელი, გაუთხოვარი ქალბატონი ანეტა ყაზიშვილი, რომელმაც ნინო ყიფიანის გარდაცვალების შემდგომ მუშაობა ისევ აქ, დიმიტრი ყიფიანის სახლში განთავსებულ ქართველ მწერალთა და შემოქმედთა დასასვენებელ სახლში განაგრძო. მომდევნო წლებში, ქართველმა მწერლებმა, ანეტა ყაზიშვილს, როგორც ცოცხალ მემატიანეს და დიდი სახლის ერთგულ დიასახლისს, თბილისში იუბილე გადაუხადეს და ნაჯაფი მაჯა ოქროს საათით დაუმშვენეს...(ტრაგიკული შემთხვევის გამო, იგი აქვე, ამ ეზოში გარდაიცვალა.)

იყო კიდევ ერთი ასეთი ქალბატონი, დიმიტრი ყიფიანის კარის მეზობელი, 80 წლის ანა ქიტას ასული ღონღაძე, რომელმაც დაწერილებით მიამბო იმ დღის შესახებ, როდესაც ნინო ყიფიანი ინსულტის გამო უცოდად შეიქნა: „ნინოს ლაპარაკი აღარ შეეძლო. გვანიშნა, მიგვეტანა საწერ-კალამი და თავისი ქონება იქვე გაანაწილა. მას სიცოცხლის ბოლომდე თავისი ძმა, გიორგი ტატიშვილი პატრონობდაო”-დასძინა მან.

1937 წლის 24 ოქტომბერს სამუდამოდ დადუმდა სამშობლოს სიყვარულით ანთებული გული მწერალი ქალისა.

ნინო ყიფიანი დაკრძალულია ქვიშხეთში, ყიფიანების კარის ეკლესიის გალავანში. დაკრძალვის დღეს, საფლავზე, მწერალი ქალების სახელით გამოეთხოვა მას მწერალი ნინო ნაკაშიძე. ასევე, თბილისიდან ჩამოვიდნენ: გიორგი ლეონიძე მეუღლით, სანდრო შანშიაშვილი, პლატონ კეშელავა, მსახიობები, თეატრის მოღვაწენი...

ნინო ყიფიანის სრულიად ხელშეუხებელი და შეუსწავლელი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა, რომელიც დღეს უკვე ათვისებულია. ამით ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა დღის სინათლეზე გამოგვეტანა დღემდე უცნობი, მეტად საინტერესო მასალები, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ თუ სოციალურ მდგომარეობაზე. ნინო ყიფიანის მოგონებებში საინტერესოდაა გადმოცემული, თუ როგორ, რა წინააღმდეგობების დაძლევის ხარჯზე გამოდიოდა ქალი იმ პერიოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე. როგორი რუდუნებით იღვწოდნენ ისინი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. რა უფლება-მოვალეობას ფლობდნენ და რა პასუხისმგებლობა ჰქონდათ მომავლის წინაშე. მის მოგონებებში საინტერესო ჭრილში ვხედავთ დიმიტრი ყიფიანს, კოტე ყიფიანს, აკაკი წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, ვანო მაჩაბელს, არჩილ ჯორჯაძეს და სხვ. წინამდებარე წიგნი შედგება პუბლიცისტური წერილების, მოგონებების, მოთხრობების, ეტიუდების, ესკიზებისა და თარგმანებისაგან. ასევე, წარმოდგენილია სხვათა შეხედულებები ნინო ყიფიანის შესახებ.

საინტერესო მასალას მოიცავს პუბლიცისტური წერილები : „პირველი ნაბიჯი’, „მაჰმადიან ქართველებთან’,„ დიმიტრი ყიფიანი კერძო ცხოვრებაში” და სხვა. მხატვრულ ნაწარმოებთაგან ჩვენს ყურადღებას იპყრობს „მგზავრის შთაბეჭდილებანი”, „სოფელს დავუბრუნდეთ”, „შენ გსტირი”, „სიზმარი” და სხვა. „სიზმარი” დაწერილია 1914 წელს, პირველ მსოფლიო ომის დროს. მასში კარგად არის გადმოცემული ქართველი ხალხის მაშინდელი მძიმე სულიერი განწყობილება, რომლის გაფანტვასაც მწერალი ქალი მომავლის დიდი იმედით ცდილობს. სწორედ სულის გადარჩენის საუკეთესო გზაზეა საუბარი „სულის თავშესაფარში”,სადაც ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულება რწმენის ტაძრისადმი: „სათნოება, ლმობიერება, პატივისცემა მოყვასისადმი, მოკრძალება გვერდში მდგომისადმი, სიფაქიზე, სიყვარული ყველასი იქა და გარეთ და საგალობელთა უზენაესი ზეგავლენით ყელში მობჯენილი,შეკავებული ცრემლები, ცრემლები...”

მწვავე და ტკივილით გაჯერებულია სიტყვები, რომელსაც „ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე” წარმოთქვამს სამშობლოს ბედ-იღბლით შეწუხებული ქართველი ქალი: „ და შევადარე შენი თავი შენს ქვეყ ანასა: როგორ ჰგევხარ მას ასეთის ყოფით! შენ გრძნობდი თავსა ობლად-ეულად შენს სამშობლოში, შენი სამშობლოც მსოფლიოში ჰგრძნობს თავის თავს ობლად! შენა ჰკვნესოდი, ჰგმინავდი ტანჯვით შენს გარშემო უგრძნობთა შორის. შენი ქვეყანაც ამას განიცდის მძიმე უღლისა, კირთების ქვეშ!”

ქართული ენის აღგვისა და უცხო ენათა დამკვიდრების სერიოზულ საფრთხეზეა საუბარი „ვაგონში”. აქ ნათლად სჩანს თუ როგორია იმ პერიოდის ახალგაზრდა, ქართველი ქალის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი „დრომ ასე მოიტანა და რა ენაზედაც სჭირდება კაცსა ლაპარაკი ცხოვრებაში, იმ ენაზედ უნდა ილაპარაკოს. დღეს ჩვენ შვილებს სხვა ენა სჭირდება და უეჭველია ამ ენაზედ უნდა ამოიდგან ენა”... აქვე, ავტორის აზრს ახალგაზრდა, შეურაცყოფილი მამაკაცის პასუხი ახმოვანებს:

„...ამას ხომ აუცილებლად ის მოჰყვება, რომ არცერთს მომავალ ქართველს თავისი ენა აღარ ეცოდინება. მაშასადამე, სულ ბევრი ასიოდე წლის შემდეგ ქართული ენის ხსენებაც აღარსად იქნება. და თქვენ ამაში ცუდს არას ჰხედავთ, ოღონდ კი კარგი კაცები გამოვიდნენ თქვენი შვილები და კარგად წაიყვანონ თავისი საქმე?” ბოლოს კი, თითოეული განათლებული ქართველის მოვალეობაზე ამახვილებს ყურადღებას გადაგვარებული ქალის პასუხებით გაოგნებული, ქართული ენის გულშემატკივარი ადამიანი: „...ყოველს სოფელს, სადაც კი იმყოფება თუნდ ერთი განათლებული კაცი, უნდა უეჭველად ეტყობოდეს ის, რომ გონება დახშულს, სიბნელით მოცულს ხალხში ანთია ლამპარი, რომელიც შეძლებისა გვარად უნათებს მათ გზას, სწვრთნის იმათ ბურუსით მოცულს გონებასა ...”

მეტად საინტერესოა ნ.ყიფიანის ერთ-ერთი პამფლეტისტური ხასიათის წერილი, რომელიც თბილისის ქართველ ქალთა კომისიის მუშაობას ეხება: „ 1907 წელს მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე. შემზარავი სიტყვებია ეს ილია ჭავჭავაძეზე! სამარადისოდ წარუხოცავი სამარცხვინო დაღი ჩვენი ერის სხეულზე!...” ფარდის გახსნამდე ჯერ პატივი და თაყვანისცემა იკვეთება ილია მართლისადმი, უდიდესი ტკივილი მისი ვერაგულად მოკვლის გამო, შემდგომ, ლიტერატურულ სცენაზე იშლება რეალური სურათი, რის გამოც კალამი აიღო ავტორმა: „ერთხელ, ეკატერინე გაბაშვილის მეთაურობით ქალებმა საყვედური გამოუცხადეს ილია ჭავჭავაძეს,-თქვენთან იკრიბებიან, ჩვენს საზოგადო საქმეებზე ვმსჯელობთ და ჩვენ კი არ გვრევთ საქმეშიო... მას სთხოვეს, რომ ისინიც მიწვეულნი ყოფილიყვნენ...”

წერილში იკვეთება გენდერული პრობლემა. ავტორი ყოველგვარი შელამაზების გარეშე თვალს უსწორებს რეალობას: „ილიამ თითქო შეიწყნარა ეს თხოვნა. მიიწვია ქალები ერთ კრებაზე. ქალები მოვიდნენ. სხედან და ელიან, როდის ან სად გაიხსნება ეს კრება. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, გაიღება კარები მეორე ოთახის და გამოვლენ უკვე დასრულებულ კრებაზე დამსწრე მამა-კაცები! “

ავტორი ქალია. XIX საუკუნეში მოღვაწე მოაზროვნე ქალბატონი. დიმიტრი ყიფიანის დიდი ოჯახის წარმომადგენელი ამიტომ, თავს ნებას აძლევს თამამად ასახოს ეპოქის პულსაცია: „გაჩნდება ახსნა-განმარტება ვითომდა გაუგებრობისა, საყვედურები, ბოდიშები, მაგრამ ქალები, სრულიად დარწმუნებულნი, რომ კრება განგებ ადრე დაიწყეს, რომ ისინი არ დასწრებოდნენ, გულ მოსულნი და შეურაცყოფილნი მწარე სიცილით დარბაზიდან გალაგდებიან. ასე არაფრად-ღა აგდებდა ქალებს დიდი ილიაც-კი!..”

ავტორი მიუკერძოებელია. მისდევს ლოგიკურ ხაზს და ერთსა და იგივე პიროვნებას სხვადასხვა ჭრილში გვიჩვენებს. 1895 წელს შექმნილმა ქალთა წრის საზოგადოებამ გადაწყვიტა, გაეხსნათ დუქნები. აქედან მიღებული თანხით კი, სწავლამოწყურებულ ახალგაზრდებს დახმარებოდნენ. ოლღა ჭავჭავაძემ, ილიას თანხმობის გარეშე, უარი თქვა საზოგადოების თავჯდომარეობაზე. ილიასთან ნინო ყიფიანი და ეკატერინე ფურცელაძე მივიდნენ დასაკითხად.

„...ილიამ ასეთი რჩევა მოგვცა: ვაჭრობა და მერე ქართველ ინტელიგენტ ქალების სულში, ყოვლად მიუღებელიაო. ჯერ ჩვენში ვაჭრობას ყაჩაღური და მტაცებლური ხასიათი აქვს და მე ვერ წარმომიდგენია, რომ ქართველმა განათლებულმა ქალმა იკადროს, ძროხის ერბოს ნახევარი ქონი დაურიოსო და ჩინეთის ჩაის ყირგიზული ჩაიო და, ეს არეული რამ, წმინდის სვინდისით გაასაღოსო. უამისოდ კი კონკურენციის გაწევა ღღეს შეუძლებელიაო... მაშასადამე კნეინა ჭავჭავაძეს ნება არ ჰქონდა თავჯდომარეობისა ზემოთხსენებულ კარგად დაწყებულ საქმეში და აზრი შეიცვალა, დუქნის მაგივრად სკოლის გახსნა გადასწყვიტეს..” ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდგომ, იქმნება მისი სახელობის ფონდი,სადაც მნიშვნელოვანი სიტყვა ქალთა კომისიას ეკუთვნის.

„...ცხადია, ასეთი ერთსულოვნება განურჩევლად სქესის, წოდებისა და კლასისა შეჰქმნა თვით ილიას სახელმა, მაგრამ აქ საგულისხმოა სწორედ შერჩევა მომენტისა მოწოდებისთვის, მისი დროულობა და თუ დავუკვირდებით, გამოძახილიც არამარტო ილიას სახელს დასტრიალებდა. ის თითქო ხელჩასაჭიდებელ საბაბად გახდა იმ მთავარი საკითხისა, რომ „ჩვენს გაუბედურებულ ხალხს” რითიმე დავეხმაროთ..”

ნინო ყიფიანის საკითხისადმი მიდგომა არისტოტელესეულია: „არ არის საკმარისი იმისი ცოდნა, რაც უნდა ითქვას, აუცილებელია აგრეთვე ისე ითქვას, როგორც საჭიროა.” ნინო ყიფიანის გულწრფელობა მისასალმებელია. თხრობა თანმიმდევრული და საინტერესო. მის მიერ დასმული ყველა პრობლემა ფართო კონტექსტშია დანახული. თვალწინ გვეშლება X/X ს ბოლო პერიოდის ნათელი სურათი.

„ადამიანის სიკვდილის ყურება ძნელი ასატანია ყოველთვის, მაგრამ იმ ქალის სიკვდილი სისხლის მოწამვლით, ეს რაღაც უნახავი და გაუგონარი იყო! მუცელი წაეხდინა ბალახის ძირით...”-წერს ნინო ყიფიანი „ჯალათში”.

ასეთი გულწრფელი, ტკივილიანი და ემოციური ფონი აქვს წერილის დასაწყისს, რომელშიც ნ.ყიფიანი თავის აზრს ასე აფიქსირებს: „საბრალო ქალმა გააწამა თავისი თავი და გააწამა თავისიანებიც. დატოვა ობლად ორი პატარა გოგონა, უსაყვარლესი ქმარი და ასეთი ნაძალადევი სიკვდილით მიწას ამოეფარა. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ მეტი შვილი არ ეშობნა! “

მკითხველი, მთხრობელთან ერთად, ხდება გულშემატკივარი ნაადრევად დაობლებული ბავშვებისა...დასასრულ, ავტორი მკაცრად ილაშქრებს ყველა იმ არასრულწლოვანზე და წლოვანზე, რომელიც დაუნდობლად სპობს ჩანასახს: „...ყველა ერის ქალმა გულზე მცნებად უნდა დაიწეროს ეს, რომ თავის ერს მუდამ აწოდოს დაუშრეტელი ნაკადი ახალ-ახალი ჯანსაღი თაობის, ამ ერის სიმკვიდრისა და დღეგრძელობისთვის!”

ნინო ყიფიანის შემოქმედებას ავსებს საინტერესო თარგმანები. ერთ-ერთ სერიოზულ შრომას წარმოადგენს იტალიელი მწერლის, ჯიოვანელის „სპარტაკი”-ს თარგმანი, რამაც მწერალს კარგი მთარმგნელის სახელი მოუპოვა.

ნინო ყიფიანი გაიტაცა იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის, ჯუზეპე გარიბალდის, როგორც ეროვნული გმირის სახემ და ეს ბუნებრივიც იყო. მაშინ მთელი მსოფლიო აიდეალებდა ჯუზეპე გარიბალდს. ქართველები დიდ სულიერ სიახლოვეს გრძნობდნენ გარიბალდთან, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთან. ჟუზეპე გარიბალდის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საქართველოდან, კერძოდ გორიდან სამძიმრის დეპეშა გაუგზავნიათ. დეპეშას იმდენად გაუოცებიათ იტალიელები, რომ ყველა კითხულობდა, ნეტავ სად არის გორიო...

სწორედ ამ პერიოდში საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია ნინო ყიფიანის მიერ ჯიოვანელის „სპარტაკის” თარგმანმა.

ნინომ შესწორა წერა-კითხვის საზოგადოებას რვაასი ცალი „სპარტაკი” ნახევარ ფასში და აგრეთვე ექვსასი კგ.საჟენი სააგარაკო ადგილი ქვიშხეთში.

ნინო ყიფიანს „სპარტაკი” 1894 წელს, 27 წლის ასაკში უთარგმნია. შვიდი წლის შემდეგ დაიბეჭდა და ძალიან მცირე ფასი დაადო, რადგან სურვილი ჰქონდა ყველას წაეკითხა. „სპარტაკი-“ს თარგმანს გარკვეული სოციალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ წიგნმა ხელი შეუწყო მუშათა კლასის გათვითცნობიერებასა და რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დარაზმვას. ჯიოვანელის „სპარტაკი” ქართული ეპოპეაა, ამიტომ იგი გამოხელისთანავე დამკვიდრდა ქართული წიგნის თაროზე. ნინოს კალამს ეკუთვნის სხვა თარგმანებიც: ფრანკოს „ნაძირალნი”, ბრიეს „ავი სენი”, დიმიტრი ყიფიანის „სკოლა სულის” და სხვ.

1967 წელს, ნინო ყიფიანის დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს მწერალთა კავშირისა და აკ. გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ინიციატივით, ქვიშხეთში მოეწყო საიუბილეო საღამო. აქვე გადაწყდა, რომ „ყიფიანების საგვარეულო სახლში, სადაც ცხოვრობდა ბრწყინვალე ქართველი გენიალური პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ყრმობის მეგობარი დიმიტრი ყიფიანი, ცნობილი მსახიობი და პუბლიცისტი კოტე ყიფიანი და თვით ნინო ყიფიანი, მოეწყოს სახლ-მუზეუმი. ქვიშხეთის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა დასასვენებელ სახლს ეწოდოს ყიფიანების დასასვენებელი სახლი და გამოიყოს ოთახი დიმიტრი, კოტე და ნინო ყიფიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიციისათვის.” - წერდა, ამ საღამოს შესახებ, დოცენტი მ.გიგიტაშვილი. აქვე ეკითხულობთ: „ვინც ნინო ტატიშვილი-ყიფიანისას იცნობდა, მას არ შეუძლია დაივიწყოს მისი ტკბილი, დედობრივი საუბარი, მისი თავდადებული სიყვარული ქართული ერისადმი...”

პირველ ექსპონატად ახლად დაარსებულ მუზეუმს გადაეცა ქართველი მხატვრების, ნ.კანდელაკის და მ. კეშელავას მიერ შესრულებული სურათი- „ნინოს პორტრეტი.”

მას შემდეგ, დიდი დრო გავიდა...მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში მოხერხდა, რომ ამ შენობას დიმიტრი ყიფიანის სახლს, მუზეუმის სტატუსი მინიჭებოდა. სამწუხაროდ, მისი დღევანდელი მდგომარეობა მეტად სავალალოა და ხელისუფლების მხრიდან დიდ ყურადღებას საჭიროებს..

უკვე 150 წელი გასულა ნინო ყიფიანის დაბადებიდან...ვფიქრობ, დღის სინათლეზე მისი ნაშრომების გამოტანით, მოკრძალებული პატივი მივაგეთ, როგორც ნინო ყიფიანს, ასევე, ერთგვარი მამულიშვილური ვალი მოვიხადეთ ჩვენი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიისა და დიმიტრი ყიფიანის ხსოვნის წინაშე.

კლარა გელაშვილი

გმირი ხალხის ლაჩარი შვილები

მიხარია, რომ სიცოცხლის ბოლო ათწლეულებში მაინც მოვესწარი ჩემი სამშობლოს ბრძოლისუნარიანობის გამოღვიძებას და თავისუფლების მოპოვებისათვის შეუპოვარ, ნაწილობრივ წარმატებულ ბრძოლებს.

ომი და ბრძოლა საშინელი სისხლისღვრაა და არცერთი ხალხისათვის მას სიკეთე არ მოაქვს. გამარჯვებულები ზეიმობენ, დამარცხებულები გლოვობენ, მაგრამ არის ორივე მხარისათვის ერთი რამ, რასაც ვერავითარი სიხარული და მწუხარება ვერ გაუტოლდება. ესაა იმ მეომართა დედების ცრემლები, რომელთა სიცოცხლეც შეიწირა დამპყრობლურმა, განმათავისუფლებელმა თუ თავდაცვითმა ომებმა და ბრძოლებმა.

ეს ცრემლები ღაღადებენ, რომ არავითარ ომებს გამართლება არ მოეპოვება.

მეორე მსოფლიო ომმა მამაჩემის ძმაც შეიწირა და დედაჩემისაც. რა დამავიწყებს ჩემი ბებოების ცრემლიან გამომეტყველებას, როცა ომის მონაწილეთა სადღეგრძელოს სვამდნენ სუფრასთან. მათ ისიც კი არ იცოდნენ, შვილები ცოცხლები იყვნენ თუ დაღუპულები. ცრემლში შვილების დაბრუნების მოლოდინის სხივი კრთოდა და ამ მოლოდინით წავიდნენ იმ ქვეყანაში ისე, რომ ჭრელი კაბა არ ჩაუცვამთ.

ვიხსენებ საქართველოს ისტორიას და ობიექტური დასკვნა ვერ გამომიტანია, თუ რამ გადაარჩინა ჩვენი ერი, როგორ შეეძლო ამ მცირერიცხოვან ხალხს გაეძლო იმ უდიდესი ტრაგედიებისათვის, რაც მან გადაიტანა, თანაც იმ პირობებში, როცა არც თუ ისე იშვიათად, ადგილი ჰქონდა შინაომლობებს, ღალატს და სხვა მანკიერებებს, მაგრამ გვყავდა ცოტნე დადიანი და მრავალი მისთანანი.

ქართველ ხალხს გვეამაყება, რომ გვყავდნენ ქარქაშში ხმალჩაუგებელი მეფეები, მათ შორის წმინდა ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, ლუარსაბ I, სიმონ I, თეიმურაზ II, ერეკლე II, დემეტრე თავდადებული და სხვანი.

როგორ არ ვიამაყებთ, როცა გვყავდა წამებულები წმინდა დავითი და კონსტანტინე, ასი ათასი ერთ დღეს სამშობლოსა და ქრისტიანობის ერთგულებისთვის სიცოცხლეწართმეული წინაპარი, როცა გვყავდა სამშობლოს ერთგულების სიმბოლო, წამებული წმინდა ქეთევან დედოფალი.

როგორ არ იამაყებს თავისი გამძლეობით ერი, რომელმაც გადაიტანა არაბთა

ლაშქრობები, მურვან ყრუსი და ბუღა თურქის სასტიკი თარეშობანი, მონღოლთა შემოსევები, ჯალალედინის, თემურ ლენგის, შაჰ-თამაზის, შაჰ-აბასის და სხვათა ლაშქრობები, ასევე დიდ ოსმალობად და დიდ ყიზილბაშობად წოდებული თარეშობის პერიოდები.

როგორ არ იამაყებს დიდგორის, მარტყოფის, მარაბდის, ასპინძის, კრწანისის და სხვა ბრძოლების გადამტანი ერი, როცა ცალკეული დამარცხებების მიუხედავად, სულიერად არასოდეს გატეხილა, მზად იყო სისხლის უკანასკნელი წვეთი და სიცოცხლე გაეწირა, ქუდზე კაცი გამოსულიყო სამშობლოს დასაცავად.

დიდად სამწუხაროა, რომ გმირი ქართველი ხალხის შთამომავლობაში, როგორც მოვლილ ყანაში სარეველა ბალახი, გამოერიენ ადამიანები, რომელთა შემეცნებაშიც ადგილი არ აქვს სამშობლოს სიყვარულს, მის ერთგულებას, მისთვის თავდადებას, საბრძოლო ტრადიციების პატივისცემას და ათასნაირი მაქინაციებით ცდილობენ თავი აარიდონ სამხედრო სამსახურს.

მე არ ვიტყვი, რომ ასეთები ადრე არ არსებობდნენ, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ახლა ისინი ბიბლიურ თავისუფლებაზე ალაპარაკდნენ, მალე ალბათ ადამის და ევას ხანასაც მიბაძავენ და ტანშიშვლები დაიწყებენ ცხოვრებას.

ეს ახალი ღვთისმაძიებლები სამშობლოს ღალატის ახლებურ გზას დაადგნენ, ამას არც ფიცავენ და ბრძოლის ახლებურ მეთოდს უწოდებენ, მაგრამ ვის ებრძვიან?

ღალატი ფართო ცნებაა და ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც მიმართულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის დასუსტებისკენ, ახალგაზრდათა ტვინის გამო რეცხვის და მათში საზოგადოების წინაშე ვალდებულების დამკვიდრებისაკენ, მის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

ღალატისთვის ადამიანები ყოველთვის ისჯებოდნენ. იმ ადამიანებს, რომლებსაც თავისუფლება საზოგადოებრივ ინტერესებზე დაუმორჩილებლობა ჰგონიათ, მინდა შევახსენო, რომ ახლო წარსულში სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება კანონით ისჯებოდა. მაგალითად: ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდებისთვის, სასჯელის ზომად, გათვალისწინებული იყო პატიმრობა სამ წლამდე, თუ ამ მიზნით სხეულს დაიზიანებდა ან სიმულირებდა - ხუთ წლამდე, თუ მობილიზაციას თავს აარიდებდა - 10 წლამდე, ომიანობის დროს კი ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით 10 წლამდე ან სიკვდილით.

მებადება კითხვა: ისეთი საბრძოლო ტრადიციების მქონე ხალხში, როგორიც ქართველობაა, როგორ იჩინა თავი ლაჩართა მიმდინარეობამ, რომელსაც შეუძლია, სამშობლოს სამსახურზე თავის არიდების მიზნით, უარყოს ჭეშმარიტი სარწმუნოება, ამოეფაროს ვითომც ბიბლიურ თავისუფლებას, მოიგონოს და მიიკეროს სასულიერო წოდებანი და იქადაგოს, რომ ქვეყნისადმი უფასო სამსახური მონობაა.

თუ სახელმწიფომ ჩარჩოებში არ მოაქცია თავისუფლებად მონათლული თავაშვებულობა, ისევე დაგვღუპავენ, როგორც ლაგამაწყვეტილი დამფრთხალი ცხენი გადაჩეხავს მასზე მჯდომ მხედარს.

ახლა შევეხოთ ლაჩრობის არსს.

ლაჩრობა ნიშნავს მშიშრობას, მხდალობას, მაჩანჩალობას, თანატოლთაგან გულადობაში ჩამორჩენილობას, სულიერ ჩასვრილობას, სიძნელეებთან შებრძოლების უუნარობას, თავდაცულობის უუნარობას, ინერტულობას და სხვის ხელში შემყურეობას, დამცირებასთან შემგუებლობას, პიროვნულ დეგრდაციას, გასაჭირიდან გაქცევას და ა.შ.

რუსულად ლაჩრობა „ტრუსლივოსტ“-ად ითარგმნება. ამ სიტყვის დასაწყისი „ტრუს“ ქართულად მიესადაგება სიტყვა ნიფხავს, რაც ნამდვილად გამოხატავს ლაჩარი ახალგაზრდის დამახასიათებელ აზრს, რადგანაც ასეთები ნიფხავს და მის მიერ სხეულის დასაფარავ ნაწილებს უფრო ჰგავნან, ვიდრე წმინდა ბიბლიას ამოფარებულ კაცუნებს ანუ კაცნიფხავებს, ნიფხავკაცებს, ფოხალკაცებს და საცვალკაცებს.

სამწუხაროა, რომ ერთეულები აღმოჩნდნენ ახალ ღვთის მაძიებელ ლაჩართა ლაშქარში და სამხედრო სამსახურის თავის აცილების მიზნით, იგონებენ ახალი სარწმუნოების წევრობას.

ვინ არიან ასეთ ახალგაზრდათა გზაამბნევები?

ესენი არიან სამშობლოს შენიღბული მოღალატენი, რომლებიც თანდათანობით წამლავენ და რყვნიან მოზარდი თაობის კეთილშობილურ გრძნობებს, საფუძველს უყრიან ზნედაცემულობის განვითარებას და ეროვნული ღირსების დეგრადაციას.

ესენი არიან ჩვენი სარწმუნოების მოღალატენი, რომლებსაც შეუძლიათ ერთდროულად ემსახურონ ღმერთსაც და ეშმაკსაც.

თუ არ მოხდა დროულად ასეთების შეზღუდვა, შესაძლებელია მათი ვითომც პიროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის „ახლებური“ მეთოდი უკურნებელ სენად შეეყაროს ახალგაზრდობას და საშიშროების წინაშე აღმოჩნდეს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა.

ახალგაზრდებო, არ ჩაერთოთ ლაჩართა ლაშქარში, იხსენით თქვენივე ღირსება და სიბერე სინდისის განუწყვეტელი ქეჯნისგან. სამშობლოს დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია, ნუ შეიზღუდავ მშობლიურ მიწაზე ამაყად სიარულისა და ცხოვრების მორალურ უფლებას.

ლაჩრობა ისეთი ლაქაა, რომლის გაქრობაც ერთი ხელის გასმით არ ხდება და სამარცხვინო კვალს ტოვებს არა მარტო გასაწვევი ასაკის გასვლის შემდეგ, არამედ შთამომავლობაშიც.

მივმართავ სასულიერო პირებსაც, რომ ხმა აიმაღლონ ქრისტიანული რწმენის დამახინჯების წინააღმდეგ.

რეზო გრიგალაშვილი

39 ათასი ძირი ყვავილი - ქალაქის სილამაზისთვის

გაზაფხულის დადგომასთან, ერთად ჩვენი ქალაქის იერსახეც დღითიდღე ფერადდება. იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტში ხორციელდება, ქალაქში უამრავ ადგილას ათასობით ძირი ყვავილი ირგვება, რომელიც ორმაგად ალამაზებს გარემოს და ესთეტიკური თვალსაზრისით გაცილებით უფრო მიმზიდველი ხდება. უკვე მეორე წელია ა(ა)იპ „სავანე" ყოველივე ამაზე გულმოდგინედ ზრუნავს. ხაშურის მოამბე ა(ა)იპ-ის დირექტორს **შოთა კოპაძეს** ესტუმრა, რომლემაც გაგვაცნო სამსახურის მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

შოთა კოპაძე: ყვავილების დარგვის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ჩვენი სამსახურის თანამშრომლები ძალას არ იშურებენ, რომ მოქალაქეებს სასიამოვნო გარემო შეუქმნან. ყვავილების დარგვამდე მიწა სათანადოდ მომზადდა, დაიბარა და გაფხვიერდა. დააახლოებით 15-მდე წერტილია ქალაქში სადაც ყვავილები დავრგეთ: დიმიტრი ყიფიანის, ლიტვის და ტაბიძის პარკებში, განახლებულ ყაზბეგის ქუჩაზე, აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩებზე... ქალაქის შემოსასვლელში, შადრევანთან, გავაკეთეთ თეთრი და წითელი ბეგონიებით საქართველოს დროშა. სურამში რამოდენიმე ადგილიც გავალამაზეთ. როგორც აღვნიშნე, ბეგონიებთან ერთად ვრგავთ ასევე ტაგეტესს, სალვეას, პეტუნიას, იპატესს, პეტუნია-ამულესს. წინა წელთან შედარებით, მკვეთრად გაიზარდა შემოტანილი ყვავილების რაოდენობაც და მათი სახეობებიც. წელს, დაახლოებით, 39 ათასი ძირი ყვავილი შემოვიტანეთ, რომლის ჯამური ღირებულებაც 60 000 ლარამდე იყო. გარდა ქალაქის ყვავილებით გალამაზებისა, განვაახლეთ დიმიტრი ყიფიანის პარკში ფანტანიც, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს. აქვე დავამატებ, რომ ახლოვდება ზაფხული, წინ კი სიცხეები გველოდება, ჩვენ სამსახურს ემსახურება მანქანა, რომელიც დარგულ ყვავილებს მორწყავს და გამოაცოცხლებს, ქალაქის ქუჩებსაც ხვატისგან გადარეცხავს.

სამსახურის საქმიანობა, ნამდვილად დასაფასებელია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ხელი შევუწყოთ მათ, მოქალაქეობრივი ვალი პირნათლად შევასრულოთ. მრავლად იყო შემთხვევა ნერგების მოპარვისა, რაც მომავალში აღარ უნდა განმეორდეს. ისინი ხომ ჩვენთვის ირჯებიან, ჩვენი ქალაქისთვის, ჩვენი შვილებისთვის, მომავლისთვის.

თ. ახალკაცი

- სოფლის მეურნეობა -

საკუთარი მარჯვენით შექმნილი ბარაქა

ჩვენი გაზეთის თითქმის ყველა ნომერში ვწერთ ადამიანებზე, რომლებიც საკუთარი მარჯვენით ქმნიან ქვეყნისა და საკუთარი ოჯახის დოვლათს. ზოგი კოოპერატივს ქმნის, ზოგი იჯარით საკუთრებაში ფლობს მიწის ნაკვეთებს, ზოგიც თავის კუთვნილ პატარა ბაღში ირჯება-მიზანი ერთია-კეთების სურვილი. პაატა ჩადუნელი რამდენიმე ხნის წინ დაუბრუნდა საკუთარ სოფელს. როგორც თვითონ ამბობს, წარმატებული ბიზნესის შემდეგ, გადაწყვიტა სოფლის მეურნეობაში ჩართულიყო და ის საქმე ეკეთებინა, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს. ისეთი კულტურის მოყვანა გადაწყვიტა, რომელიც არაა დამახასიათებელი ქართლისთვის-80 მიასედზე ნიორი დათესა. გარდა ამისა, მეფრინველეობით დაკავდა. წარმოების გაზრდას აპირებს:



–აქამდე სხვა საქმიანობით ვიყავი დაკავებული. მეორე წელია, რაც აქტიურად ჩავები სოფლის მეურნეობაში, მინდოდა ჩემს ქვეყანაში მეწარმოებინა პროდუქცია, რომელიც სარგებელს მოგვიტანდა ორივეს. გასულ წელს პომიდვირის კულტურა დავრგე, წელს -ნიორი. შრომას წინ არაფერი უდგას, მთავარი მონდომება და იმ საქმის ერთგულებაა, რომელსაც შეეჭიდე. ამ ეტაპზე 2 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი მაქვს იჯარიანად. ახლა ნიორი დავთესე 80 მიასედზე, გარდა იმისა, რომ საბაზრო ფასიც მაღალია და მომგებიანიცაა, ნიადაგისთვისაც საჭირო და აუცილებელია თესლბრუნვა. 800 კგ დავრგეთ, რუსული ჯიშია და დაახლოებით 6-7 ტონას ველოდები. საკუთარი ძალებით ვაკეთებ ყველაფერს,კონსულტაციებს ვიღებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურისგან, რადგან ჩემთვისაც ახალი საქმე,ა მათი რჩევა მნიშვნელოვანია ჩემთვის. სამომავლოდ, მიწების შესყიდვას და მეურნეობის გაფართოებას ვაპირებ, წიწაკის, ჟოლოს, კენკროანი მცენარეების დარგვას, სადაც სახელმწიფო პროგრამებიც კარგად მუშაობს. პარალელურად მეფრინველეობით მინდა დავკავდე. ამ ეტაპზე მყავს 1000 ფრთა ქათამი, რომლის რაოდენობასაც გავზრდი და ბაზარზე უკვე კვერცხსაც გავიტან.

თ. ბულეიშვილი

- ბიზნესი -

დასუფთავება - დაღგების კერძო სამსახური? რაცომაც არა?!

წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც ქალების უფლება-მოვალეობანი მხოლოდ საოჯახო საქმეებით შემოიფარგლებოდა, რომ ქალის ცნება, მხოლოდ რეპროდუქციულ უნართან იგივდებოდა, ხოლო სხვა დანარჩენსახელმწიფოებრივს თუ სტრატეგიულს, მამაკაცი განსაზღვრავდა. დღეს ქალები საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობენ ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს პოლიტიკა, ბიზნესი თუ სხვა საქმე. ჩვენი გაზეთიც ხშირად მასპინძლობს ქალბატონებს, რომლებიც ერთნაირად წარმატებულები არიან ოჯახშიც და კარიერაშიც. **ნინო სკანაძე** დალაგება-დასუფთავების ოფისი -„გვირილას" დირექტორია, როგორც ამბობს, მოთხოვნამ გააჩინა მიწოდება-ამ სფეროში აუთვისებელმა ბაზარმა და მოთხოვნილებამ გადააწყვეტინა დასუფთავების ოფისის გახსნა:

–ჩემს დას თავისი მცირე ბიზნესი აქვს,რაც მოითხოვდა დამატებით დამხმარე პერსონალს,რომელიც დალაგებასა და სისუფთავეს უზრუნველყოფდა. სულ ძებნის პროცესში იყო, რადგან, ფაქტობრივად,არ არსებობდა რაიმე ტიპის სამსახური,საიდანაც დაიქირავებდა პერსონალს და მიიღებდა შესაბამის მომსახურებას. ამიტომ გადავწყვიტე, დალაგება-დასუფთავების ოფისის გახსნა, რადგანაც, მეტნაკლებად, უკვე ვიცოდი,რომ ბაზარზე მოთხოვნილება არსებობდა. დაახლოებით თვენახევრის წინ, შევუდექით მუშაობას. ამჟამად ოთხი თანამშრომელი მყავს. რაც შეეხება სერვისს, ვალეგებთ როგორც კერძო საკუთრებაში არსებულ სახლებს, ეზოებს, ასევე, რესტორნებს, ოფისებს, ვასრულებთ რემონტის შემდგომ სამუშაოებს.

- მომსახურების ფასებს როგორ განსაზღვრავთ? დამეთანხმებით, ცოტა სპეციფიკურია...

–დიახ, გეთანხმებით, ჩვენ იმაზეც ვიფიქრეთ, რომ მომსახურების ფასებში სხვაობა ყოფილიყო თბილისსა და ხაშურს შორის,რადგან მომხმარებლისთვისაც ახალი სერვისია და მისაღები უნდა იყოს. ყველა მომსახურების ფასი გაწერილი გვაქვს, რემონტის შემდგომი სამუშაოები საკმაოდ შრომატევადია, ამიტომ კვ. მ-ით განისაზღვრება. ეს მიღებული ფორმაა მათთვის, ვინც ამ სფეროში საქმიანობს. ვალაგებთ ასევე ჩვენი ჰიგიენური საშუალებებით, რომელიც დამატებით ზრდის მომსახურების თანხას.

- მსურველთა რაოდენობა რამდენად დიდია?

–ამ ეტაპზე, ჯერ კიდევ რეკლამის და გაცნობის პროცესში ვართ, დავალაგეთ დაახლოებით 11 ობიექტი. დალაგება იყო რესტორნის, კერძო სახლების, სოფლებშიც გავედით, ბაკურიანიდანაც გვქონდა შემოთავაზება. სამომავლო გეგმებიც გვაქვს,რომელიც მხოლოდ ჩვენს რაიონს არ უკავშირდება, იმედია, ჩვენი საქმე გაამართლებს.

- დამეთანხმებით, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სანდოობას თქვენს საქმეში ...

–ნამდვილად. ეს ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. რადგან ხშირია შემთხვევები,როდესაც გვიტოვებენ გასაღებს და პასუხისმგებლობას მთლიანად ჩვენს თავზე ვიღებთ. კადრებიც შესაბამისად შევარჩიე,გვაქვს ჩვენი ლოგოიანი მაისურები, რომ ცნობადი იყოს ჩვენი სამსახურის წარმომადგენელი.

თ. ჯავახიშვილი

თანამედროვე ბერძნული პროზის ქართული თარგმანი

„ვკვდები, როგორც ქვეყანა“, ასე დაასათაურა მცირე მოცულობის პროზაული ნამუშევარი, 1978 წელს, თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ცნობილმა წარმომადგენელმა, დიმიტრის დიმიტრიადისმა... ბერძენი რეჟისორი, მიხეილ მარმარინოსი (რომელსაც ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს 2012 წელს დადგმული უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ პიესის რემინისცენციით შექმნილი სპექტაკლით), დიმიტრიადისის „ვკვდები, როგორც ქვეყანა“ მიხედვით ქმნის სპექტაკლს, რომელიც ევროპულ სცენებზე ინტენსიურად იდგმება.

ქართველი მკითხველი დიმიტრიადისის გახმაურებულ „ბესტსელერს“ 2015 წელს გაეცნო, ბრწყინვალე თარგმანით, რომელიც თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის-ბერძნული ენის ფილოლოგიის დოქტორანტს, თათია მთვარელიძეს ეკუთვნის. დიმიტრიადისის, გარკვეულწილად მომნუსხველი, ერთი შეხედვით, ატიპიური პროზაული ხელწერა, მთარგმნელმა მცირე ანაქრონულობითა და სკაბრეზული სტილის კორელაციით გადმოსცა მკითხველს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს დიმიტრიადისის პროზის, ქართულად გადმოთარგმნილი ტექსტის ეფექტურობას.

ჩემი თვალთახედვით, „ვკვდები, როგორც ქვეყანა“ მოიაზრება საყოველთაო მეტაფორად, რომელშიც მოქცეულია კაცობრიობის ისტორიაში, ათასწლოვანი ცხოვრების „ციკლების“ განსაზღვრულობა. ავტორი ტექსტში ფანტასმაგორიულ გარემოს ქმნის, მარგინალური ქმედებებითა და რიტმიული საჯარო კონვულსიებით სავსეს, როგორსაც „ერთი კონკრეტული ერის“ ცხოვრება შეიცავს. ერი, რომლის ჯარისკაცები დეზერტირებად კვდებიან და ერი, რომელიც უკანასკნელ თაობას კარგავს, თავად ახალს ვერ შობს, რადგან უნაყოფოა, უნარი შექმნას „ახალი სიცოცხლეები“ წართმეული აქვს და საკუთარსავე უმოქმედობასა და უსასოობაში, ყოველგვარი პანაციის, თანაგანცდის, კეთილშობილების გარეშე ლპება, თვითიხრწნება; „რომ ამ ქვეყნის უსაშველობა ყველა მისი მცხოვრებლის სულში ბუდობდა და რომ ამ ქვეყნის ბინადართა სულები სხვა არა იყო რა, თუ არ ქვეყნის უსაშველობა“. ამ ფანტასმაგორიულ სინამდვილეში, ლოზუნგად შემდეგი სიტყვები ქცეულა: „სამშობლოს გაცემა საქმეა საგმირო, ამბორვყოთ სამშობლო და ამით განვგმიროთ“. ასე ხდებოდა ცხოვრების ერთი ციკლიდან მეორე ციკლზე გადასვლა და იქმებოდა ფსიქიკური აშლილობის, აგონიის და ანარქიის აპოთეისტური პროცესი. თანდათანობით მოხდა „ერთი ერის“ ცხოვრების ცვლილება, მეორე დიაკრიტიკული „ციკლის“ ჩანაცვლებით, სადაც, ამიერიდან ქრებოდა ვიოლინოს ხმა, პროექტორიდან სინათლის სხივი, რომანებიდან შინაარსობრივი ქარგა, პიესებიდან კი - მოქმედი გმირები. ადამიანები „გენდერულ გაურკვევლობას“ განიცდიდნენ, ქალი ანდროგენულ არსებად გადასხვაფერდა, სამღვდელოება, კი საეკლესიო ლიტურგიებს ობობის ქსელის მანტიაში გამოხვეული აღასრულებდა. გაბატონდა და ნორმირებულ დოგმად ჩამოყალიბდა აღვირახსნილობა... ახლა, ყველა ერთი გახდა და ყველაფერი - სულ ერთი. ბერძენი მწერალი, პროზის დასასრულისაკენ ერთგვარად, მოჩვენებით პოზიტიურ მდგომარეობას ქმნის-ქვეყანა მტრის ჯარების ხანგრძლივი ოკუპაციის პირობებში გადასხვანაირდა და ძველს ახალი არაფრით ჰგავდა. თუმცა ავტორი ერთთავად კითხვას სვამს: ახალმა ცხოვრებამ მეტამორფოზა განიცადა თუ, არსებითად, „ისე“ და „იქ“ დარჩა?!..

ანი ცხვედაძე, თეატრის კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე

აღინიშნა ეროვნული სამოსის დღე

18 მაისს- ეროვნული სამოსის დღეს შეუერთდა ხაშურის მუნიციპალიტეტი და ქუჩებში საზეიმო მსვლელობა მოეწყო. ეროვნულ სამოსში გამოწყობილი გოგო-ბიჭები საქართველოს ულამაზეს ისტორიას აცოცხლებდნენ და იმპროვიზიერებულ წარმოდგენებს დგამდნენ.

ღონისძიებაში სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივები მონაწილეობდნენ, ორგანიზატორი კი ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური იყო.

გარემოზე ზრუნვა ბავშვთა ნახატებიდანაც იწყება

ხაშურის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი განვითარების ცენტრში ხელოვნებისა და ეკოლოგიის კონკურსი გაიმართა.

კონკურსი ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისეების ინიცირებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი განვითარების ცენტრის მხარდაჭერით მოეწყო. მასში შემოქმედებითი განვითარების ცენტრის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

კონკურსის მონაწილეებმა საათნახევრის განმავლობაში არაერთი საინტერესო მხატვრული ნამუშევარი შექმნეს ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის თემებზე.

დასასრულს, ჟიურის მიერ გამოვლინდა 5 საუკეთესო ნამუშევარი, რომელთა ავტორებმაც მშვიდობის კორპუსისგან სამახსოვრო სერტიფიკატები მიიღეს. მონაწილეობის აღსანიშნავი სერტიფიკატი კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო სამძიმარს უცხადებს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს ომარ კაპანაძეს ბაბუის

მირიან გაჩეჩილაძის

გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.